ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N115
CPV: 30191400 - დოკუმენტების გასანადგურებელი აპარატები

ქ. თბილისი 13 დეკემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"** (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **ნოდარ ხარაზიშვილის** სახით და მეორეს **მხრივ, შ.პ.ს. კომპანია „GEOSM"** (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის **თეიმურაზ ახობაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"-ს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის 2016 წლის 12 დეკემბრის N1481304 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სახსრებით (ვაუჩერული დაფინანსებიდან) პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებზე სწავლების განხორციელებისათვის საჭირო ქაღალდის გამანადგურებლის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **164,60 (ასსამოცდაოთხი ლარი, 60 თეთრი)** ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანმდევ ხარჯებისაც.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას **მიმწოდებელი** უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ. ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან **სამი სამუშაო დღე, 2016 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.**

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორის მ/შ ნოდარ ხარაზიშვილი.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება **უნაღდო** ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) **სამუშაო დღის განმავლობაში.**

6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.
8.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
8.4 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მახარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
8.5 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;
8.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
8.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდების საბოლოო ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.8 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;
8.9. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.
8.10 ამ მუხლის 8.7 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2017 წლის 20 იანვრის** ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ

ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2.ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა N 2, ს.ნ. 200279448; საერთო-საგანგებო ხაზინა, საბანკო კოდი: 220101222; ან.ა: 200122900; ტელეფონი: 570503001;
nodar_ter@yahoo.com
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხარაზიშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. კომპანია „GEOSM", ს/ნ404873614; მის: ქ. თბილისი; მ. ასათიანის N14; საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "პროკრედიტ ბანკი"; ბანკის კოდი: ბანკის კოდი:MIBGGE22; ანგარიშის ნომერი ა/ა GE45 PC 0223 6001 0001 0827
დირექტორი თეიმურაზ ახობაძე

(ხელმოწერა)

შპს კომპანია Geosm

INVOICE

თარიღი : 08.12.2016

შემსყიდველი ორგანიზაცია

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი : 404873614
მის.: ქ. თბილისი; მ. ასათიანის #14
ტელ.: 272 91 19 ; 214 91 19
ელ. ფოსტა : info@geosm.ge
ვებ-გვერდი : www.geosm.ge
მობ. ნომერი : 514 000 413
საკონტაქტო პირი : თამარ ადუაშვილი

საბანკო რეკვიზიტები :

ს/ს "პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი : MIBGGE22
ა/ა GE45PC0223600100010827

№	შესყიდვის ობიექტი (დასახელება)	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	საგარანტიო ვადა
	ქაღალდის გამანადგურებელი (შრედერი)	**უნდა ანადგურებდეს** - A4 ფორმატის 70 გრ/მ: 5 ფურცელს; CD; DVD; სტეპლერის ტყვია; სკრეპი. **ფურცლის ჭრის ზომა:** არაუმეტეს 4.0 x 28.0 მმ. CD; DVD ჭრის ზომა: არაუმეტეს 2სმ. **უსაფრთხოების დონე** მე–3 ; ავტომატური სტარტის და გაჩერების ფუნქცია. **ჭრის სიჩქარე:** არანაკლებ 4მ/წთ, უწყვეტი მუშაობის რეჟიმი 3 წთ **კონტეინერის მოცულობა:** არანაკლებ 11 ლიტრი; **ძრავი:** არანაკლებ 120 ვატი **ზომები:** არაუმეტეს 348 x 146 x 400 მმ დამზადებული უნდა იყოს მყარი, არამტვრევადი პლასტიკური მასალისაგან. უნდა გააჩნდეს მიწოდების და რევერსის ფუნქცია. არანაკლებ 2 წლიანი მწარმოებლის გარანტიით.	1	ცალი	164.60	164.60	5 სამუშაო დღე	ქარხნული წუნის შემთხვევაში 2 თვე
სულ გადასახდელია დღგ-ს ჩათვლით :								

დირექტორი
თეიმურაზ ახობაძე

შპს კომპანია GEOSM Company GEOSM 404873614

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" LEPL COMMUNITY COLLEGE "GLDANI VOCATIONAL EDUCATION AND TRAINING CENTER" 200279448

მიღება-ჩაბარების აქტი №01

ქ. თბილისი 14 12, 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"** (შემდგომში – "შემსყიდველი") მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **ნოდარ ხარაზიშვილის** სახით, ხოლო მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი"

შ.პ.ს. კომპანია „GEOSM"

(დაწესებულების დასახელება)

დირექტორი თეიმურაზ ახობაძე

(ხელმძღვანელის დასახელება)

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ვაუჩერული დაფინანსებიდან) დაფინანსების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 13 დეკემბრის №115 ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) თანახმად და პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხოლო "შემსყიდველმა" მიიღო ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩამონათვალის, რაოდენობისა და ფასის შესაბამისი საქონელი - ერთი ერთეული ქაღალდის გამანადგურებელი (CPV: 30191400 - **დოკუმენტების გასანადგურებელი აპარატები)** ანგარიშსწორების საერთო თანხით - **164,60 (ასსამოცდაოთხი ლარი, 60 თეთრი)** ლარი დღგ-ს ჩათვლით.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: **164,60 (ასსამოცდაოთხი ლარი, 60 თეთრი)** ლარი.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს: **164,60 (ასსამოცდაოთხი ლარი, 60 თეთრი)** ლარი.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

აღნიშნული აქტი შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი ეგზემპლარი ბარდება "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი – "მიმწოდებელს").

"შემსყიდველი"
დირექტორის
მ/შ

ნოდარ ხარაზიშვილი

"მიმწოდებელი"

დირექტორი **თეიმურაზ ახობაძე**

კორექტირების თარიღი: 14/12/2016 15:20:33

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0278689310

2	14/12/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	15:19:11

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს კომპანია GEOSM	404873614

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი	200279448

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	თბილისი, მ. ასათიანის №14

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	თბილისი,ხიზანიშვილის ქ.

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო	10	EGE438	txt
ტრანსპორტირების სახე		სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი		მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	01024038766 გრიგორ სურმავა	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	2/9923 ქაღალდის დამქუცმაცებელი	2/9923	ცალი	1.0000	164.6000	164.6000

13	164.6 - ას სამოცდაოთხი ლარი და სამოცი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	თა

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 14/12/2016, 16:44:09